პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 დეკემბერი სამშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 288 (16109)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: კოსმონავტები ა. ვ. ფილიპჩენკო და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი მიწაზე დაშვების შემდეგ. საკდში (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ'ესტენის საუშაო შეხვედრის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიიჩნიათ, რომ დიდმნიშვნელოვანი შედეგი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის მოლაპარაკებისა, რომელიც რეალიზმითა და განსახილველი საკითხებისადმი კონსტრუქციული მიდგომით აღინიშნა, არის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ ახლა კარგი წანამძღვრებია შექმნილი, რათა უმოკლეს დროში დამთავრდეს სრულიად ევროპის თათბირი, მოეწყოს მისი მესამე ეტაპი და ხელი მოაწერონ საბოლოო დოკუმენტებს უმაღლეს დონეზე. თათბირის წარმატებით დამთავრება, რომელიც ჩვენს კონტინენტზე დაძაბულობის შემდგომი შენელების პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლია, ხელს შეუწყობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძვლების განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირს დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ შეხვედრის დროს ერთმანეთს დაემთხვა ორივე ქვეყნის პოზიციები საკვანძო საკითხებზე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ, რომელიც კვლავინდებურად სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ორივე მხარემ მოითხოვა 1967 წელს ოკუპირებული ყველა ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანა და ამ რაიონში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის უფლების პატივისცემით. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პალესტინელი ხალხის კანონიერი უფლებების დაკმაყოფილებას. ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმებული მოქმედება წვლილი იქნებოდა ასეთ მშვიდობიან მოწესრიგებაში.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი წრეები, მთელი საბჭოთა ხალხი მიესალმებიან ორივე მხარის მისწრაფებას მიაღწიონ ინდოჩინეთის შესახებ პარიზის შეთანხმებათა ზუსტ დაცვას.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის მზადყოფნას ხელი შეუწყონ იმას, რომ კვიპროსის პრობლემა მოწესრიგდეს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის საფუძველზე.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა კაცობრიობის ხსნა გამალებული შეიარაღების ტვირთისაგან. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სსრ კავშირმა და საფრანგეთმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე მისწრაფება, განაგრძონ ღონისძიებანი განიარაღების, კერძოდ ატომური განიარაღების დარგში, რომ ისინი კვლავინდებურად უპირველ მხარს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის სამუშაო შეხვედრის შედეგად ახალი იმპულსი მიეცა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირში კმაყოფილებით აღიქვეს პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის განცხადება, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელი ელემენტია.

რამბუიეში მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ ეს ურთიერთობა განავითაროს მყარ, სტაბილურ საფუძველზე, რათა მას კიდევ უფრო მეტი ქმედითობა მიანიჭონ, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის ფართო პერსპექტივებს სახავს. საქმე ის არის, რომ ეს შეთანხმება შეივსოს ახალი კონკრეტული საქმეებით. საბჭოთა მხარე გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას — იაროს ამ გზით.

საბჭოთა კავშირში კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ახალმა უმაღლესი დონის შეხვედრამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაორმაგებას, რაც მათი ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით საფუძველს შეადგენს. რამბუიეში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტები ეკონომიურ და კრედიტის საკითხებზე და უწინარეს ყოვლისა შეთანხმება 1975-1979 წლებში ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის განვითარების თვალსაჩინო მაგალითია.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტმა საფრანგეთში კვლავ დაადასტურა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უმაღლესი დონის რეგულარული შეხვედრები ამაში, რომ გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები, გაგრძელდეს დაძაბულობის შენელების პროცესი, განვითარდეს სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებების რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა ექნება ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანხმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას ფართოდ უპირველ მხარს ორივე ქვეყნის მშრომელები.

„სოიუზ-16“: ფრენა დამთავრდა

1974 წლის 8 დეკემბერს „სოიუზ-16“ ხომალდზე სამუშაოთა პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ანატოლი ვასილიევიჩ ფილიპჩენკო და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რუკავიშნიკოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

11 საათსა და 04 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, 300 კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზღანის ჩრდილოეთით. დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ექვსი დღე-ღამის ორბიტული ფრენის დროს განხორციელდა შეპირაპირების ახალი აგრეგატისა და მისი ავტომატიკის, ორიენტაციის, მოძრაობის მართვისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის იმ სისტემების დაგეგმილი გამოცდები, რომლებიც მოდერნიზებულია 1975 წელს გათვალისწინებული „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტების მოთხოვნათა შესაბამისად. „სოიუზ-16“ ხომალდის მანევრირების, ორიენტაციისა და სტაბილიზაციის დროს იხვეწებოდა ეკიპაჟის მოქმედება და მუშაობის რეჟიმები იმ ამოცანების შესრულებისას, რომლებიც მომავალი ერთობლივი ფრენის ამოცანების იდენტურია.

გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ა. ვ. ფილიპჩენკო და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი ეწეოდნენ მეცნიერულ და მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევას, ფოტოსურათებს უღებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილს სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

ფრენის ყველა ეტაპზე, რომელიც მიმდინარეობდა მომავალი კოსმოსური ექსპერიმენტის პირობების მაქსიმალურად მსგავს პირობებში, „სოიუზ-16“ ხომალდის სისტემები და ხომალდში დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობდა.

ფრენის დროს მიღებული მეცნიერული ექსპერიმენტების შედეგებს ამუშავებენ და სწავლობენ.

შეხვედრა ყაზახეთის მიწა-წყალზე

ალმა-ათა, 9 დეკემბერი. (საკდესის კორ. ა. რომმისტროვსკი). ტიტოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის თოვლით დაფარული სახნავი. აქ, დაახლოებით ოცდაათ კილომეტრზე ქალაქ ალმა-ათის ჩრდილოაღმოსავლეთით და სამის კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზღანის ჩრდილოეთით, დღეს რბილად დაეშვა „სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი, რომლითაც დედამიწაზე დაბრუნდნენ ანატოლი ვასილიევიჩ ფილიპჩენკო და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რუკავიშნიკოვი.

მალე ისინი ვერტმფრინავით მიიყვანეს არკალიკის აეროპორტში, სადაც კოსმონავტებს მეცხალმენენ მშრომელთა წარმომადგენლები.

კოსმოსური ხომალდის მეთაურმა პოლკოვნიკმა ა. ვ. ფილიპჩენკომ შეკრებილთ უთხრა:

— კვლავ სახარულით აღვიარებენთ, როცა მშობლიურ მიწაზე დავბრუნდით. დიდი მადლობა ყამირზე გულითადი შეხვედრისათვის! კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი. ჩაიწერა დიდ კმაყოფილებას ვგვგრის, რომ „სოიუზ-16“ ხომალდზე კვლავ მოეწყო ახალი შესაპირაპირებელი აგრეგატისა და მისი ავტომატიკის, ორიენტაციის, მოძრაობის მართვისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების დაგეგმილი გამოცდა, განხორციელდა სხვადასხვა კვლევა.

ახლახან გამოვიდა

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვლადივოსტოკის შეხვედრის დოკუმენტებისა და მასალების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ამა წლის 23-24 ნოემბრის ვლადივოსტოკის შეხვედრის დოკუმენტებისა და მასალების კრებული.

კრებულში დაიბეჭდა ცნობები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამგზავრება მოსკოვიდან ვლადივოსტოკში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის ჩასვლა ვლადივოსტოკში, ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის მოლაპარაკება და მათ მიერ საბოლოო დოკუმენტის ხელმოწერა.

ბრიფინგში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომუნიკე და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება; ცნობები ვლადივოსტოკში ლ. ი. ბრეჟნევისა და ჯ. ფორდის გასეირნების, სადილის შესახებ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გაუმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. დაბეჭდილია ლ. ი. ბრეჟნევისა და ჯ. ფორდის სიტყვები ამ სადილზე, ცნობები ვლადივოსტოკიდან ჯ. ფორდისა და ლ. ი. ბრეჟნევის გამგზავრების შესახებ.

კრებულში გამოქვეყნებულია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის შეხვედრის შედეგების შესახებ“. კრებული იწყება ამ გადაწყვეტილებიდან ამოღებული სტრიქონებით: „საბჭოთა ხალხს, რომელიც ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, — ნათქვამია გადაწყვეტილებაში, — ვლადივოსტოკის რაიონში გამართული შეხვედრა მიაჩნია ახალ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელების გზაზე. საბჭოთა ხალხი მაღალ შეფასებას აძლევს მოლაპარაკების შედეგებს და წვლილს, რომელიც ამ საქმეში შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმ“. (საკდესი).

ბეჭედი ალმა-ათიდან

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვლადივოსტოკის შეხვედრის დოკუმენტებისა და მასალების კრებული

ბეჭრი ხალხი შეიკრიბა 9 დეკემბერს რაფიელ ერისთავისა და მეხეთის ქუჩების გზაჯვარედინზე მდებარე სკვერში. აქ რაფიელ ერისთავის ძეგლის გახსნაზე მოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, ქართველი მწერლები, საიუბილეო კომიტეტის წევრები, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან, პოეტის მშობლიურ სოფელ — ქისტაურიდან ჩამოსული სტუმრები.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ.

... ძეგლს თეთრი საბურველი ჩამოხსნეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა თ. ბუაჩიძემ და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა. მნახველებს თვალწინ წარმოუდგათ პოეტის შესანიშნავი ქანდაკება. ქანდაკების ავტორები არიან საქართველოს დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ე. ამაშუკელი და რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი გ. მირიანაშვილი.

თბილისის ნორჩმა მოქალაქეებმა ძეგლის კვარცხლბეკი ყვავილებით შეამკეს.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ელენტი, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მოწინავე მუშა, სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე, სომეხი პოეტი ვ. არუთინიანი; კრიტიკოსი გ. ასათიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თ. კანთელაძე.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი თ. მენთეშაშვილი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. რიგვავა. (საქინფორმი).

• • •

სურათზე: რაფიელ ერისთავის ძეგლი თბილისში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.



ბეჭედი რაფიელ ერისთავის ძეგლი

წლის ბოლომდე 21 დღე დარჩა

მოწინავეთა მწყობრში

გაზრდილი შეხვედრი გეგმა მიიღეს მოვალეობა წლისათვის რუსთაველმა ქიმიკოსებმა

რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან სერიოზული დასკვნები გაკეთა, მოლიანად გარდაქმნა მუშაობა, დაძლია ჩამორჩენა და მტკიცედ ჩადგა მოწინავე საწარმოთა მწყობრში. ქიმიკოსებმა საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულეს, რეალიზაცია—100,8 პროცენტით. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით გაუგზავნეს ათასობით ტონა ამიაკი, 827 ტონა კაპროლაქტამი, 22.660 ტონა მინერალური სასუქები, სულ განვლილ პერიოდში დავალების გადამეტებით გამოშვებულია 900 ათასი მანეთის პროდუქცია.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს გაწეული მუშაობის შედეგებს, 1975 წლის სავარაუდო გეგმას, გამონახეს გამოუყენებელი რეზერვები და შეიმუშავეს შემხვედრი გეგმა, სადაც ჩაწერეს: სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოუშვან ასობით ტონა ამიაკი, 150 ტონა კაპროლაქტამი, ათობით ტონა ანონი და მანგანუმის ორჟანგი, 5.000 ტონა მინერალური სასუქები, სულ გეგმის გადამეტებით დამზადებული იქნება 500 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

ხუთწლედი-ვაჟკაცებ!
1975-
უეცხვედრი

კოლექტივის დავალებით: გ. გოგოლაძე, კომბინატის დირექტორი, ლ. ჩარკვიანი — პარტიული კომიტეტის მდივანი, ხ. კვესელავა — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. მუზარაელი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

დაპირებას საქმე ავფუვენებს

თბილისი. (საქინფორმი). სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ნაყოფიერად მრომობენ ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მათ ერთი თვით ადრე უპატაკეს სამშობლოს ოთხი წლის გეგმის შესრულება, ხუთი დეკემბრისათვის ხუთწლედის დამთავრებული წლის ანგარიშში წარმოებულია 9 მილიონი მანეთის პროდუქცია. დღითიდღე უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ახლა უკვე ქალაქის საწარმოებში, ამზადებენ 23 სახეობის პროდუქციას, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ერის ოთხი წლის გეგმა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ნაყოფიერად მრომობენ ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მათ ერთი თვით ადრე უპატაკეს სამშობლოს ოთხი წლის გეგმის შესრულება, ხუთი დეკემბრისათვის ხუთწლედის დამთავრებული წლის ანგარიშში წარმოებულია 9 მილიონი მანეთის პროდუქცია. დღითიდღე უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ახლა უკვე ქალაქის საწარმოებში, ამზადებენ 23 სახეობის პროდუქციას, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

საბჭოთა მთავრობის მოწვევით

9 დეკემბერს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯორჯე მაკოვესკუ.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ შერემეტიევოს აეროდრომზე ჯ. მაკოვესკუსა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში გ. ბადრუსი. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია არგენტინაში გაემგზავრა

9 დეკემბერს არგენტინის ეროვნული კონგრესის მიწვევით მოსკოვიდან ბუენოს-აირესში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ხ. ძოწენიძე.

დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ნ. რიკოვი, სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ვ. პ. ლეონი, მოსკოვის № 1 ბავშვთა საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე ლ. ხ. ბოგატირიოვა, მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. ზაიჩენკო.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ვადერმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. გ. გაპუროვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

გამცილებელთა შორის იყო არგენტინის ელჩი საბჭოთა კავშირში ტორკუატო ალფრედო სოსინი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მეჯარალ ხ. მ. ბერულავას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისა და დაბადების ორმოცდამეათე წლისთავის გამო მწერალი ხუტა მიხეილის-ძე ბერულავა დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

 მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 9 დეკემბერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მეცხვარეობა-ინდუსტრიულ საფუძველზე!

ცხვარი ჩვენი წთავარი საზრუნავია

ა. შადური,
საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი

დუშეთის რაიონის მაღალმთიან ზონაში მეცხვარეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მთიელები დიდი მონდომებით და სიყვარულით ოდითგანვე მოდგებიან მეურნეობის ამ დარგს და შესანიშნავ წარმატებებსაც აღწევენ. ცხვარი ყოველთვის იყო და არის მთიელი კაცის სიმამაცე და სიუხვის წყარო. საუკუნეთა მანძილზე ხალხმა შექმნა მეცხვარეობის მდიდარი ტრადიციები, რომლის მიხედვით ცხვარს არ ეღალატება. მეცხვარე მწყემსი ვალდებულია თავისი სიცოცხლის ფასად დაიცვას ცხვარი ყოველგვარი ხანაძალეულისაგან. ამრავლოს სახალხო ოფლითა, იყოს პატიოსანი. შეუდრეკელი სიძნელეებთან ბრძოლაში. ეაცხვარეს და ეერთგულოს თავის ამხანაგებს ამ თვისებათა შეძენაში თავის როლს ასრულებს მეცხვარეთა შრომის კოლექტიური ხასიათი.

ბუნებრივია, რომ მთაში დიდი სიხარული გამოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მასალებმა, რომელიც მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას შეეხება.

ჩვენს დროში, როცა მეცხვარეობის განვითარება სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგნად იქცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანის გზებს, ცხვრის სტაციონარულ მოვლა-პატრონობას, დიდი კომპლექსების შექმნას, ეს კი თავისთავად მოითხოვს მეცხვარეობის უზრუნველყოფას კალრებით — როგორც მეცხვარე მწყემსებით, ისე ზოოვეტსპეციალისტებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთ-ერთ თავზარ ამოცანად დაგვიახა შემუშავდეს და დაინერგოს ცხვრის სამთო-სამმთაბარეო შენახვის პარობებში მატყლის, ცხვრის ხორცისა და ძვრის ყველის წარმოების ორგანიზაციის ახალი ეფექტიანი ფორმები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის ამ დარგში ბევრი შესაძლებლობა და რეზერვი გამოუყენებელია. როგორც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ითქვა, ჩვენი რაიონის მეცვეთის კოლმეურნეობაში დარგის სწორი ორგანიზაციით, ცხვრის შენახვის ნორმალური პირობების შექმნით, აწარმოეს 530 ინტენერი მატყლი, რომლის საშუალო თვითღირებულება იყო 298 მანეთი, 20 ათას ცხვარზე მოეკლებულია 219 ათასი მანეთი მოგება.

უნდა მივალწიოთ იმას, რომ რაიონის ყველა მეურნეობაში ისე, როგორც მლეთაში მეცხვარეობა მაღალშემოსავლიანი დარგი იყოს და სახელმწიფო ყოველწლიურად მაღალი ხარისხის იაფ პროდუქციას იღებდეს.

ბოლშევიკური მეცხვარეობა წარმოუდგენელია ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების გარეშე. ამიტომაც გადაწყვეტილი გვაქვს გამოუყენებელი არ დაგვრჩეს არც ერთი ჰექტარი საძოვარი როგორც მთებში, ისე ნოლაის ტრამალებში. ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება მთებში გავიყვანოთ გზები, რათა ფერმებს საშუალება ჰქონდეთ სრულად გამოიყენონ ალაღები. როგორც ცენტრალურ კომიტეტში თათბირზე ითქვა, უნდა დაჩქარდეს ყიზლარის მასივების გაწყლოვანება და მორწყვა და იმ ადგილებში ველტურული საკვები საგარეულების შექმნა, ამასთან უნდა ვებრძოლოთ სარეველა ბალახებს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ პირუტყვს.

რაიონის მეცხვარეებმა კარგად იციან, რომ ცხვრის სულადობის ზრდა, ჯიშიანობის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ეფექტიანი ამაღლება პირველ რიგში დამოკიდებულია საკვები ბაზის განმტკიცებაზე. თათბირზე სწორად იყო ნათქვამი, რომ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საკვების წარმოება წინ უსწრებდეს პირუტყვის სულადობის ზრდას.

ცხვრის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მაინც მწყემსია, რომელსაც უყვარს თავისი პროფესია, უყვარს ცხვარი და ვალდებულად იტანს მეცხვარის შრომის სპეციფიკურ პირობებს. ამიტომ იყო, რომ თათბირზე ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ საჭიროა შემუშავდეს მატერიალური სტიმულირების კონკრეტული სისტემა.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მწყემს ყოველთვის მიუხაროდეს ფარასთან როგორც ჩრდილოეთ კავკასიის ტრამალებში, ისე მშობლიურ მთებში. რაიონის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და საწარმოო ორგანოებთან ერთად ყველაფერს გაკეთებენ, რათა მეცხვარეს შეუქმნან შრომისა და დასვენების საუკეთესო პირობები.

უახლოეს დღეებში, — თქვა დასასრულ ა. შადურმა, — მოვეთათბირებთ რაიონის მეურნეობათა ხელმძღვანელებს, მეცხოველეობის სპეციალისტებსა და ყველა მეცხოველე-მწყემსს, რათა დავაზუსტოთ, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის, იმ ფრიად ძნიშნელოვან ამოცანათა პირნათლად განაღდებისათვის, რაც დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. ამასთან გულდასმით შეეკრებთ ყველა რჩევა-დარიგებას, წინადადებებს და პრაქტიკულ რეკომენდაციას, რაც მიმართული იქნება მთიელთა ყველაზე საყვარელი ტრადიციული დარგის — მეცხვარეობის მაღალი ეფექტანობისთვის.

ძნელი, მაგრამ საჭირო საქმე

ნ. ოდიშვილი,
საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი

ლენინგრადელ მშრომელები მეცხვარეობას ძველთაგანვე მისდევენ. აქაური გლეხის შემოსავლის ძირითადი წყარო პირუტყვი, უმთავრესად კი ცხვრის ხორცის, მატყლის, ცხვრის ყველის წარმოება იყო. ახლაც ლენინგორის რაიონში ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა ეფექტურად განვავითაროთ მეცხვარეობა, ამასთან — მხოლოდ მომთაბარე მეცხვარეობა. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ამასწინათ ჩვენს რესპუბლიკაში მეცხვარეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ საგანგებოდ მოწყობილ თათბირზე მეგრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა.

მე მინდა რამდენიმე საკითხზე შეეჩერო მკითხველის ყურადღება. საეხებით ვეთანხმები მეცხვარეობის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ამხანაგების აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა დროულად შეშუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს ცხვრის მომთაბარეობის პირობები შენახვის, მატყლის, ცხვრის ხორცისა და ცხვრის ყველის წარმოების ორგანიზაციის ახალი ეფექტური ფორმები. აქ მე გამოვყოფ სამ საკითხს — ცხვრის სულადობის ზრდას, მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და ზოგიერთი ღონისძიებების გატარებას მატყლის, ხორცისა და ყველის გამოსავლიანობის გადიდებისათვის.

ლენინგორის რაიონს ამჟამად 76,5 ათასი სული ცხვარი ჰყავს საზოგადოებრივ მეურნეობაში. რამდენიმე ათეული ათას ცხვარსაც თვლიან. ეჭვი არ არის, რომ ცხვრის ასეთი რაოდენობა მცირეა მთის რაიონისათვის. ჩვენ გვაქვს წარსულის მარჯვენბლები, სადაც ვეცნობით, რომ ზოგიერთ წლებში ცხვრის საერთო სულადობა ლენინგორში 160-170 ათასს აღწევდა. ასეთ შემთხვევაშიც კი სიძნელეებს ადვილად ებრძოდა ჩვენი გლეხი.

ამიტომ ხისტებატურად უნდა ვსაუბრობთ ცხვრის სულადობის, კერძოდ ზრდა უნდა ხდებოდეს თუმცა ცხვრის სულადობის გადიდების გზით, რადგან ცხვრის ეს ჯიში ყველაზე უკეთესად იტანს მომთაბარეობას და მისგან მიღებული შემოსავალიც მეტ წილად სტაბილურია. სეროიზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ზამთრის საძოვრების გაუმჯობესებას, ბალახების თესვას. მომავალი წლიდანვე საჭიროა შეუდგეს ხაძოვრების შემოღობვას, ნაკვეთმორეკვების დაწესებას, თავის ალებისა და შენახვის საკითხის ხაიმედად მოგვარებას.

— ჩვენ გვაქვს მაგალითები, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობა კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს მეცხვაურობაში. ასეთია, მაგალითად, ჩვენი რაიონის სოფელ უკანაშხარის კოლმეურნეობა, რომელსაც 15 ათასი სული ცხვარი ყავს. წელს უკანაშხარეში ცხვრის ნამატმა 84 პროცენტი შეადგინა, კარგი მაჩვენებლები აქვს კოლმეურნეობას მატყლის ნაპარსში. ასე რომ, ისინი მეცხვარეობის განვითარებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

ჩრდილო კავკასიის ზამთრის საძოვრებზე ადრე საკმაო რაოდენობით აშენდა ცხვრის სადგომები, მწყემსთა ბინები, ბევრი სხვა ნაგებობა. მათ კარგი სამსახური გაუწიეს კოლმეურნეებს. ახლა ამ ნაგებობათა ნაწილი მოძველდა, დაინგრა, ახლის აშენება კი ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს საკითხიც ყურადღების ღირსია. ერთი სიტყვით, მწყემსებს ყველა პირობა უნდა შეექმნათ ზამთრის პირობებში ნორმალური მუშაობისათვის.

კიდევ და კიდევ მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მექანიზაციის დანერგვას მეცხოველეობაში, პირველ ყოვლისა, ცხვრისათვის საკვების შემზადებასა და მიწოდებაში. მოფიქრებულად უნდა გამოვიყენოთ კომბინირებული და წვნიანი საკვები.

ყურადღებას მოითხოვს ცხვრის გადასაყვან-გადმოსაყვანი ტრასა. იგი უსუსტად უნდა განისაზღვროს, დაწესებულ მოვლა-პატრონობა. სადაც ეს შესაძლებელია, ტრასა ბაჭირო გაფართოვდეს.

მე არ მიმიჩნია მიზანშეწონილად ზამთრის ხაძოვრებზე ცხვრის ავტომანქანებით ან მატარებლით გადაყვან-გადმოყვანა. ავტომობილით გადაყვან-გადმოყვანა ჩვენ უკვე გამოცადეთ და ამან იმედი ვერ გაამართლა. მატარებლით ან ავტომანქანებით გადაყვან-გადმოყვანა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თანაც უარყოფითად მოქმედებს ცხვრის ჯანმრთელობაზე.

მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საკითხი მოელი სიგრძე-სიგანით ეამოიკრა. ეს მოსასალმებელია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეცხვარეობა გადავიყვანოთ ინდუსტრიულ საფუძველზე. ეს კი გამარჯვების დიდი ხანდაზი იქნება.

ფიცს სდებენ

თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა ხალხური სასლთან არსებულ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ხამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმში ვაიმართა სამხედრო ფიცის მიღების საზეიმო ცერემონია. თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილის ახალგაზრდა ჯარისკაცებმა სამშობლოს ერთგულების საზეიმო ფიცი დადეს.

სამშობლოს ერთგულების ფიცი დადეს ბ. კეკერაძემ, ვ. მუსიხინმა და ს. ტიმოშინმა, ვ. რეშეტილომ და ლ. ნესვეტაილომ და ბევრმა სხვამ.

— კარგად შეისწავლეთ და დაუფლეთ იარაღს, რომელიც გაგიდეს, ზედად დაიცავით ჩვენი — ვმირული შეიარაღებული ძალების სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები, — იყავით თქვენი აღმზრდელი სამების ღირსნი, — უთხრა ჯარისკაცებს აქ გამართულ მიტინგზე სამხედრო კავშირის გმირმა, გადამდგარმა მაიორმა ვ. შენგელიამ.

ფიცმიღებულთა სახელით რეზოლუციაზე ხელი მოაწერეს ბ. ბიბიჩენკომ ნაწილის სარდლობას, ომის ვეტერანებსა და მიტინგის სხვა მონაწილეებს აღუთქვა, რომ სანიმუშოდ შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

მეომრებისათვის ამ საზეიმო დღეს მათი ძვირფასი სტუმრები იყვნენ სამეფო თბილისის სკოლების მოსწავლენი. მათაც მხურვალედ მიულოცეს ჯარისკაცებს ფიცის მიღება.

(საქინფორმი).

ჩვენი ეროვნული ბელადის ქრისტაურში

◆ მიტინგი პოეტის საფლავთან ◆ სტუმრები მემორიალურ სახლ-მუზეუმში

თელავი. გამოჩენილი ქართველ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის დაბადების 150-ე წლისთავის საიუბილეოდ რაიონის მშრომელები დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ. მკვლევარ საფლავზე — სახელმწიფო ისტორიული, ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში ხალხი დილიდანვე შეიკრიბა. ეუბილეზე ჩამოვიდნენ სტუმრები — ქართველ მწერლები, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის და აჭარის განყოფილებების, მოიმე ასურბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა კავშირების წარმომადგენლები, რაფიელ ერისთავის ნათესავები, მეზობელი რაიონების მშრომელები.

დღის ორი საათია. რაფიელ ერისთავის საფლავს გვირგვინებით აკაკეთებენ მწერლები და რაიონის ხელმძღვანელი. ამხანაგები. საიუბილეო საზეიმო მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. ჯაბადარი. თელავის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გაერთიანებული ეთნოგრაფიული ანსამბლი ასრულებს პოეტის უკვდავ ლეგენდას შემქმნელ ნ. ხულხანიშვილის სიმღერას — „საშობლო ნეკვერიას“.

მიტინგზე სიტყვით წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ბ. ბუაჩიძემ, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა. ა. ბენდელიძემ, სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. არუთინიანმა, რაფიელ ერისთავის საშობლო ხოფელ ქისტაურის მკვიდრმა ნ. ფეფელაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების წარმომადგენელმა ი. ქოზაევმა, კომკავშირის თელავის რაიონომის პირველმა მდივანმა დ. აბაშიძემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ვამაყმაძემ, ხაჭართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების წარმომადგენელმა ბ. ზაგარაშვილმა, თელავის პირველი საშუალო სკოლის მედაგოგმა ნ. კუბანიძემ, რაფ. ერისთავის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. ნონეშვილმა.

რაფიელ ერისთავის ლექსი წაიკითხა პოეტის ბადიშის შვილიშვილმა ზ. მაყაშვილმა.

დასასრულს თელავის ხახელმწიფო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა რაფიელ ერისთავის პიესის — „ჯერ დაიხოცნენ, მერე ეკრონენ“ — ნაწყვეტები.

ახმეტა. საზეიმოდ აჭრის მორთული ეი რაფიელ ერისთავის სამშობლო სოფელი ქისტაური. ცენტრალურ გზასა და გზაჯვარედინებზე ბანერული პოეტის უკვდავი ნაგაზებით დამშვენებული ალაკატები და ტრანსპარანტები.

ეკრარას, 8 დეკემბერს დილიდან ნეკ მრავალი მნახველი ეწვია პოეტის მემორიალურ სახლ-მუზეუმს. ეს ტის მემორიალურ სახლ-მუზეუმი. ეს მოვიდნენ ახმეტისა და მეზობელი რაიონების მშრომელები, თბილისიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, აჭარიანისა და სომხეთის მწერალთა კავშირების წარმომადგენლები, პოეტის შთამომავლები.

დღის პირველ საათზე პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბატაიაშვილმა მგოსნის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვებით გამოდიან ხაჭართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. დუმბაძე, რ. ერისთავის თანასოფელელი, ცნობილი მეკარეშუმე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოსანა აივაზაშვილი, ხაჭართველოს სსრ კულტურის მინისტრი პირველი მოადგილე ნ. გურაბანიძე, სომხეთის მწერალთა კავშირის გაგეგების წარმომადგენელი ს. ბალდასარიანი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ს. მამედოვი, ოსი მწერალი რ. ასაევი, ქისტაურის საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ბაბიაშვილი, მწერალი ელ. ფალავა, პოეტი შ. ხოდაშელი. პოეტის ლექსი „საშობლო ნეკვერია“ სა წაიკითხა რ. ერისთავის მეოთხე თაობის წარმომადგენელმა მოსწავლე ზ. მაყაშვილმა. პოეტსაფლავ მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა სახალხო მთქმელმა ს. ჩანგაშვილმა.

მიტინგის შემდეგ პოეტის საიუბილეო, კომბატტის თავმჯდომარეს ი. ნონეშვილმა სტუმრები სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად მიიწვია.

რ. ერისთავის საიუბილეო ზეიმს თელავსა და ქისტაურში ესწრებიან და ხაჭართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„კომუნისტის“ კრებულის გამოსვლის თვედან

„კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ადგენითი-რეჟისტრუქციის სამეურვეოს სათაურით „ცვლა აქლერდება“.

წერილში აღნიშნული იყო, რომ თეატრის ადგენილის სამეურვეოზე მომუშავე მუშებს ამა თუ სასადილო. თბილისის მშრომელთა დეპუტატების ხაკალაქო საბჭოს ალმასკომის ვაკრობის საგარეველო რეფერატის აღმასკომის ადგენილებით, თბილისის მუნიციპალურ ტრესტს „თბილმშენის“ მე-18 ტრესტის ხაგარეველომ ხაეციალური ეგზარხასადილო მიეტანა. ეს ეაეცარი ალეკურეობით და ინვენტარით ეგზარ-სასადილო ეკეთ ეგზარ-ეგზარ ეგზარ-ეგზარ ეგზარ-ეგზარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირ-საფრანგეთი:

ფართო პერსპექტივები

მოსკოვი. პრესა გაცხოველებით გამოეხმაურა საფრანგეთში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სამუშაო ვიზიტისა და პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენთან მისი მოლაპარაკების შედეგებს, ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს.

შეზვედრამ რამბუიეში, ხაზს უსვამენ სახელმწიფოთა გაზეთები, ადასტურა სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანხმობისა და თანამშრომლობის პოლიტიკის მემკვიდრეობითობა, ახალი იმპულსი მისცა ორი ქვეყნის ურთიერთობას და დადებითს გავლენას მოახდენს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ვითარებაზე.

ფრანს პრესის საგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი ხაზს უსვამს დიდ როლს, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა შეასრულა რამბუიეს მოლაპარაკებს წარმატებით დამთავრებაში. შემდეგ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ზეგრელ როდია. მასზე გავლენას არ ახდენს საერთაშორისო კონიუნქტურის მერყეობა და შეესაბამება ჩვენი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ღრმა ანალიზს".

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებმა საყოფიერ სახეითის აღნიშნავენ ბევრი ქვეყნის გაზეთები.

„რამბუიეს მოლაპარაკებს შედეგები, ისევე როგორც ელდიგოსტოკის ოთხეულში გამართული შეხვედრის შედეგები, ხაზს უსვამს ბულგარეთის „რიბტუნი" ინტერესკო დელო", — კითხულ ვართხელ მკაფიოდ ადასტურებენ, რომ სწორი და ცხოველმყოფელი სკკ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა, როგორ ერთ ... ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნო

საქართველოს ხმა-ბარი

კონცერტი ფერმაში

წითელწყაროს. მეძროხეობის ფერმაში ხტუმრად გვეწვივნენ ჩვენი, ხოფელ კაფარიძის სახოფლო კულტურის სახლის ბრიგადის წევრები (კულტსახლის დირექტორი შ. ნატროშვილი, სამხატვრო ხელმძღვანელი . ე. ლათიბაშვილი). სახოფლო საბჭოს თავმჯდომარე მ. ლეკაშვილი გვესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალებზე, ხოლო ბიბლიოთეკარმა ი. ბენაშვილმა ჩაატარა საუბარი თემაზე „წიგნი ჩვენი მეგობარია“.

შემდეგ ბრიგადამ ჩვენ-თვის გამართა კონცერტი. ჩვენ ძალიან მოგვწონა თ. ნახრაშვილის, ე. ლათიბაშვილის, ტ. მამედოვის, ზ. ტოხიშვილის, ე. ხარდალაშვილის, ე. ინაშვილის, ნ. ბურდულის მიერ შესრულებული სიმღერები ჩონგურზე, სკეტჩები და მინიატურები.

ფერმაში მათ აგრეთვე მოგვიტანეს ახალი ეროსნალ-გაზეთები, გამოუშვეს სველი ფურცელი.

ზაირა ალხანიშვილი.
მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

მსაჯიობის საღამო

ხოხუმი. (საკ. კორ.). ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ სახალხო არტისტის ა. არღუნ-კონშოკის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ გ. კალანდიამ.

ა. არღუნ-კონშოკის შემოქმედებით მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა თეატრის აფხაზური დასის მთავარი რეჟისორი დ. კორტავა.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების სამმართველოს უფროსი ა. ქუთათელაძე, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ი. ქეცბა, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ძ. რგკვავა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი რ. ჩხაიძე, პოეტები გ. გუბლია, მ. თარბა, მხატვარი ჭ. კუკუაძე და სხვები.

იუბილარმა გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი ღვაწლის ესოდენ დაფასებისათვის.

იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სცენები სპექტაკლებიდან „ოტელო“, „ნუ გეშინია, დედა“, „ყოველისშემძლე მაზლოო“.

□

ყურადღება — ზვავი!

უაზბეგი. (საკ. კორ.). ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა საზოგადოება „ცოდნის“ ყაზბეგის განყოფილებასთან ერთად, სნოს სასოფლო საბჭოს მოსახლეობისათვის მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია თემაზე — „საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის ზვავების წარმოშობის პირობები და მათთან ბრძოლის მეთოდები“.

„ყინვარები და ადამიანი“ — ასეთი იყო დოცენტ რ. შენგელიას მოხსენების თემა. ზვავებსა და მათი განსაზღვრის მეთოდებზე დამსწრეთ ესაუბრა დოცენტი ქ. აბდუშელიშვილი, პროგნოზირების ზოგიერთი საკითხის შესახებ ილაპარაკა დოცენტმა კ. უკლებამ. ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა დოცენტმა ლ. ქალდანმ.

□

„საქართველოს გუნება“ № 11

გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს გუნების“ მეთერთმეტე ნომერი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და საქართველოს ჟურნალისტთა „კავშირის გამგეობა 12-14 დეკემბერს აწყობენ ზონალურ სემინარს თემაზე:

„პრესის, ტელევიზიისა და რადიოს როლი ცხოვრების საბჭოთა წესის დამკვიდრებისა და პროპაგანდის საქმეში“.

სემინარზე მიწვეული არიან რესპუბლიკური, საოლქო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის და საქინფორმის მთავარი რედაქტორები.

სემინარი მუშაობას იწყებს დილის 10 საათზე საქართველოს კომპარტიის (ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის ქ. 29).

ახალი პროგრამირებული ტელესკოპი

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ლენინგრადელი, მოსკოველი და ქართველი სპეციალისტები ამონტაჟებენ ახალ დიდ სარკიან ტელესკოპს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ასტრონომთა დავალება. ლენინგრადის ოპტიკური ხელსაწყოების ქარხანაში შექმნილი სამყაროს მკვლევართა უნიკალური ოპტიკური თავი, თავისი თანამოძმეებისაგან განსხვავებით, სავსებით ავტომატიზებულია, აქვს პროგრამა და მას ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა მართავს.

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ გ. სალუქვაძემ საინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ტელესკოპი, რომლის სარკის დიამეტრი 125 სანტიმეტრია, აწარმოებს ციური სხეულების სინათლის ნაკადების ფოტოელექტრულ გაზომვებს. იგი განსაზღვრავს შორეული ვარსკვლავების ნათების ინტენსივობას, მათს სიკაშკაშეს და ფერს, რომელთა საშუალებით ირკვევენ ციური მნათობების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. ტელესკოპმა — ავტომატმა ასტროფიზიკოსები გაათავისუფლა მრავალი გამოთვლისაგან, მოცემული ვარსკვლავისათვის ხელსაწყოს დამიზნებისაგან. დაპროგრამებ უ ლ ი რეტიკული თვალი ამ პროცესსა და ზხვა შრომატევად პროცესებს დიდი სიზუსტით და ჩვეულებრივზე ათჯერ უფრო სწრაფად ასრულებს. ამასთან ასტრონომები იღებენ მზა შედეგებს რიცხვების სახით.

ეს მსოფლიოში პირველი ავტომატური ტელესკოპია, რომელიც მუშაობს წინასწარდასახული პროგრამით. უახლოეს დროში მისი საშუალებით მიიღებენ სხვადასხვა ვარსკვლავის, გალაქტიკური გრავებისა და სამყაროს სხვა ციური „მცსოვრებლების“ სურათებს. ახალი ტელესკოპის თემატიკა ფართოდ განისიერს აბასთუმნის ობსერვატორიაში გამართულ კოლოკვიუმზე, რომელშიც მონაწილეობდა მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული მეცნიერი. (საქინფორმი).





დიდი გზის დასაწყისი

მუდამ გამოცოცხლებაა თბილისის საცურავ აუზში. აქ თითქმის ყოველ წუთს იყენებენ წვრთნისათვის. ხვეწენ სპორტულ ოსტატობას.

— განსაკუთრებით გულმოდგინედ ვარჯიშობენ ყველაზე ნორჩი მცურავები, — გვეუბნება ხაზოგადოება „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელი ი. ზოლდა ნათაძე, რომელმაც ბევრი პინებული სპორტსმენი აღზარდა. ვაჟა ნახუცრიშვილი და სანა ჩაჩიბაია 11 წლისანი არიან, მაგრამ მათ უკვე აქვთ მოზარდის მეორე თანრიგი, 7 წლის დათო ჭანტურიას კი მოზარდის მესამე თანრიგი მიენიჭა.

—„ჩვენი ოლიმპიური იმედები“, — ამბობენ ნორჩ დინამოელებზე ნაცურავ აუზში.

სურათებზე:: ზემოთ მარცხნივ — ასე იწყება გზა ხპორტული დიდებისაკენ; ქვემოთ მარცხნივ — შვიდი წლის დათო ჭანტურია; ზემოთ მარჯვნივ — წვრთნის დროს; ქვემოთ — „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელი ი. ნადაძე თავის აღსაზრდელებთან.

ბ. დათიკაშვილისა და ა. ხაჩატურის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფიშერი — მეკინგი?

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე რობერტ ფიშერსა და ანატოლი კარპოვს შორის ფიდეს კონგრესის გადაწყვეტილებით გაისად ივნისში უნდა გაიმართოს. ახალგაზრდა საბჭოთა გროსმასტერმა მოიჰოვა ეს უფლება ჯერ საზონათაშორისო ტურნირში ბრწყინვალე თამაშით, შემდეგ პოლუგაევსკის, სპასკისა და კორჩნოის დამარცხებით. თითქოს ყველაფერი ნათელია. არა?!

მაგრამ ამ დღეებში სრულიად მოულოდნელად ბრაზილიელმა გროსმასტერმა მეკინგმა განაცხადა, რომ სწორედ იგი იწვევს მატჩში ფიშერს. იმ მეკინგმა, რომელმაც პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში წააგო კორჩნოისთან და არსებული წესების თანახმად გამოეთიშა გათამაშებას.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ, თითქოს, როგორც საზღვარგარეთული სატელეგრაფო სააგენტოები იუწყებიან, ფიშერი თანახმაა შეხვდეს შეკინეს. ბრაზილიელთან, უნდა ვიფიქროთ, მას დამარცხება არ ეშინერება, აი, კარპოვთან კი შეიძლება წაგოს.

ჯერჯერობით ნათელი არ არის როდის დაიწყება ფიშერ-მეკინგის მატჩი, სად გაიმართება და როგორი იქნება მისი პირობები. „პირობები ისეთი იქნება — ამბობს მეკინგი — როგორსაც ფიშერი მოისურვებს“. ამასთან ნათელი არ არის, ვინ აფინანსებს მატჩს, მეკინგის მილიონერი მამა თუ სულ სხვა ვინმე მეცენატი.

რა თქმა უნდა, ფიდემ ნებართვა არ უნდა მისცეს ფიშერს ითამაშოს ეს მატჩი. მაგრამ იგი, ისევე როგორც მეკინგი, სრულიადაც არ უწევს ანგარიშს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას. მეკინგმა პირდაპირ განაცხადა: „მე და ფიშერი ამ მატჩს ფიდეს ნებართვის გარეშეც კარგად ვითამაშებთ... ფიშერს, რა თქმა უნდა, ჩემთან მოგვის მეტი შანსი აქვს. მაგრამ, დაუშვათ, მე მოვიგე. მაშინ ავდგები და დავთანხმდები კარპოვს ჩემთან ითამაშოს მსოფლიოს პირველობაზე“.

კომენტარები, როგორც ამბობენ, ზედმეტია!

შედგება თუ არა ეს მატჩი?

თუ კი ფიშერმა მაინც უარი გაანცადად შეხვდეს კარპოვს, ამ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონად ახალგაზრდა საბჭოთა გროსმასტერი გამოცხადდება, — ასე უთხრა ამერიკის შეერთებული შტატების სატელეგრაფო სააგენტოს ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტს ფიდეს პრეზიდენტმა პროფესორმა მაკს ეიუმ.

ჭ. გოგლიძის მემორიალი

მოახლოებული ფინიში

მმართ ტური მეტისმეტად საბრძოლო აღმოჩნდა. გამოსაკლისს შეადგენდა მხოლოდ ნიჩეკსკი-გიორგაძის პარტია, ხადაც სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე.

სიგურიონსონ-გაფრინდაშვილის პარტიაში მეტოქეობა დიდი საბრძოლო სულისკვეთება და ენერგია გამოავლინეს. ძლიერ ორმხრივ ცაიტნოტში ლიდერმა ჯერ პაიკი მოიგო და აშკარა უპირატესობა მიიღო, შემდეგ კი მხედველობიდან გამორჩა მსოფლიოს ჩემპიონის ძლიერი რეპლიკა. პოზიცია გამარტივდა და მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. გუფელდმა პაიკი მოუგო ბოხოსიანს და სახიფათო მუქარაც შექმნა. საბოლოო ანგარიშით თბილისელს ზედმეტი ფიგურა დარჩა და მოიგო. გურგენიძე ძლიერ ცაიტნოტში მოხვდა და დამარცხდა ჩოკილტისთან. კინმა მოუგო ლებრედოს. 3 პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: 6,5 ქულით პირველ ადგილზეა სიგურიონსონი. გრანდმაესტერის წოდების მოსაპოვებლად მან კიდევ უნდა გადალახოს დიდი სიძნელეები — 5 თამაშიდან 3,5 ქულა მოაგროვოს. ლიდერს სათამაშოდ დარჩა გიორგაძესთან, ნიჩეკსკისთან, ტუზოვსკისთან, ბაგიროვთან და ხოლმოვთან. 6 ქულა აქვთ გუფელდს, კინსა და გიორგაძეს, 5,5 ქულა — გაფრინდაშვილს, 5 ქულა და თითო გადადებული პარტია— ხოლმოვსა და ბაგიროვს, 5 ქულა — ჩოკილტისს, 4,5 ქულა და ერთმანეთთან გადადებული პარტია უბილავასა და ტუზოვსკის. უბილავა და ტუზოვსკი 7,5 ქულის მოსაგროვებლად იბრძვიან, რაც მათ საერთაშორისო ოსტატის ბალს მისცემს. 4,5 ქულა მოაგროვა ნიჩეკსკიმ, 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს შმიდტს, 4 ქულა — გურგენიძესა და ლებრედოს, 3,5 ქულა — ბოხოსიანს, 3 ქულა და 1 გადადებული პარტია — ზნაპაკს.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მორიგი, მეთერთმეტე ტური.

ფეხბურთის ამბები

„მეტალურგი“ — საქართველოს ჩემპიონი

რუსთავი. „მეტალურგის“ გუნდმა მოიპოვა ფეხბურთში 1974 წლის საქართველოს ჩემპიონის წოდება. უკანასკნელი ტურის შედეგების მიუხედავად, იგი მიუწვდომელია მეტოქეებისათვის. „მეტალურგის“ გუნდმა მიიღო უფლება გაისად გამოვიდეს „ა“ კლასის მეორე ლიგაში. რუსთაველმა ფეხბურთელებმა 38 მატჩის შემდეგ დაგროვეს 57 ქულა. რესპუბლიკის პირველობის მეორე პრიზიორი გახდა ჭიათურის „მაღაროელის“ გუნდი.

ახალი წესით

ბუდაპეშტი. უეფას აღმასკომმა განსაზღვრა ევროპის საკლუბო გუნდების ორი ახლანდელი მთავარი ტურნირის ფინალური მატჩების ადგილი და ვადები. კონტინენტის ჩემპიონთა თასზე გადაწყვეტილი შეხვედრა გაიმართება 28 აპრილს პარიზში, ხოლო თასის მფლობელთა თასზე — 14 მაისს ბაზელში (შვეიცარია).

გადაწყდა ადრეთვე, რომ მომავალი წლიდან (1975-1976 წლები) ამ შეჯიბრებათა ფინალები ჩატარდება ახალი წესებით. თუ ძირითად დროში ვერც ერთი გუნდი ვერ გიმარჯვებს, მატჩი არ გადათამაშდება, როგორც ადრე, გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი 30 წუთი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ესეც ვერ გამოავლენს პრზნის მფლობელს, მაშინ შეხვედრის ბედს პენალტების სერია გადაწყვეტს.

დიდი ანგარიშით

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს განაგრძობს ერევნის „არარატი“. სან-ფრანცისკოში ჩვენი ქვეყნის ეგს-ჩემპიონმა დიდი ანგარიშით დამარცხა მექსიკის პირველობის ლიდერი „ტოლუკა“ — 6:2 (2:1). პირველი გოლი 25-ე წუთზე გაიტანა მარჭაროვმა. შემდეგ მექსიკელებმა ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მატჩის დასასრულს სომეხი თეხბურთელების სრული უპირატესობით წარიმართა.

ლოს-ანჯელესში ტურნეს მორიგ ამხანაგურ მატჩში „არარატმა“ ფრედ 1:1 ითამაშა მექსიკის „ხალისკოსთან“.

ევროპის შესარჩევი

ლაიფციგში კონტინენტის პირველობის შესარჩევი მატჩი გაიმართა გდრ-ისა და ბელგიის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძლები განწყობილნი ოტივდნენ „მაგრამ უშედეგოდ, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. ბელგიელებმა სამ შეხვედრაში 5 ქულა დააგროვეს და ახლა ლიდერობენ მეშვიდე ჯგუფში.

მესამე აგსოლუტური

ჰიდკობა

1939 წელს პირველად მოეწყო ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ეს საპატიო სახელი პირველმა მოიპოვა შესანიშნავმა ქართველმა სპორტსმენმა კონსტანტინე კობერიძემ. შემდეგ ოთხჯერ პირველობა ორავისთვის დაუთმია სახელგანთქმულ ესტონელ ათლეტს — იოჰანეს კოტკასს.

და აი თითქმის 30-წლიანი „შესვენების“ შემდეგ ლიტვის ქალაქ კაუნასში ასევე ძველი ქართული ტრადიცია — 24 ფალავანი ერთმანეთს შეეკალა უძლიერესის სახელს.

ფინალამდე არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს 23 წლის შოთა მორჩილაძეს. და აი ბოლამწყვეტ შეხვედრაში 33 წლის მინსკელ ანატოლი ზელენკოსთან მას ბედმა უმტყუნა — ქულებით წაგება (5:7). მესამე ადგილს დასჯერდა ფრონზელი ნახევრადმძიმე წონის მოკიდავე ვ. ბაკანაჩი, რომელმაც უარი თქვა ზელენკოსთან და მორჩილაძესთან ფინალურ ორთაბრძოლებზე.

42-ე საკავშირო

6 ტურის შემდეგ

ბაკურიანი. პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში. 4 პარტიას ამთავრებდა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ბელიავსკი. მან პირველი დამარცხება განაცდევინა ვაკანიანს, მოუგო კუპრეიჩიკს, ყაიმით დამთავარა შეხვედრები რომანიშინთან და გულკოსთან. ალბურტმა მოუგო კუპრეიჩიკს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სავოსთან. რომანიშინი ყაიმზე შეუთანხმდა ვრიგორიანს, გულკომ მოუგო კუპრეიჩიკს.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა ასეთია: 4 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა საერთაშორისო ოსტატმა ბელიავსკიმ (ლვოვი). მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტალი, პოლუგაევსკი, კუზმინი, ბალაშოვი, ვაკანიანი, დვორეცკი და ალბურტი.

ჩოგბურთი

მოროზოვა ამარცხებს მულაგოვნს

ადელაიდაში დამთავრდა სამხრეთ ავსტრალიის შტატის ღია პირველობა. საბჭოთა სპორტსმენმა ოლგა მოროზოვამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა —ფინალში სძლია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს— სახელგანთქმულ ევონ გულაგონგს (ავსტრალია) —7:6, 6:2.

ეიბოთა ფინალში შეეფინა ბიერნ ბორგმა დაამარცხა ახალზელანდიელი ონი პარუნი — 6:4, 6:4, 3:6, 6:2. პარუნმა ნახევარფინალში მოუგო ალექსანდრე მეტრეველს.

ჭოკეი

დაქაბული ტაიმ-აუტი

საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა 72 მატჩი დაეგვიანილი 180-დან. ასპარეზობას სათავეში უდგას ქვეყნის მრავალჯზის ჩემპიონი — მოსკოველ არმიელთა ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი, რომელსაც 15 თამაშიდან 26 ქულა აქვს.

ჩემპიონატზე ერთგვარი ტაიმაუტი გამოცხადდა, მაგრამ ეს „შესვენება“ მეტად დაძაბული იქნება საბჭოთა ჰოკეისტებისათვის. 12-დან 21 დეკემბრამდე სსრ ყველაზირის ნაკრები მოსკოვში ეკვის კალენდარულ მატჩს ვამართავს შვეიციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან ვაზეთ „იზვესტიის“ ტრადიციულ საერთაშორისო პრიზზე. საზღვარგარეთ ტურნეებში გაემგზავრებიან „კრილია სოვეტოვი“ (აშშ-ში), ცსკა (კანადაში), მოსკოვისა და რიგის „დინამო“, „სპარტაკი“ და გორკის „ტორპედო“ (შვეიცარიაში).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ

- „კომუნისტის“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ კრიტიკული წერილი სათაურით „რატომ მფარველობენ დამნაშავეებს?“, რომელშიც მხილებული იყო საჩხერის რაიონის სამრეწველო კომბინატში მოკლათებული კომბინატორების საქმიანობა. აგრეთვე გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტები.

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ კომბინატორთა საქმე აცილების წესით განსახილველად დაუჭერემლებრივ ჭუთაისის სახალხო სასამართლოს. ამ დღეებში ჭუთაისის სახალხო სასამართლომ ბ. ცხელაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა ეს საქმე. დადასტურდა, რომ კომბინატის დირექტორი თ. შაორშაძე, მთავარი ბუღალტერი შ. ამაშუკელი, ბლოკის საამქროს ჯეროსი, აგრ. გარდაცვლილი ვ. აბოთიძე დანაშაულებრივ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან და დიდი ოდენობით ფატაციებდნენ სახელმწიფო ქონებას. მათ მარტო 1968 წელს მოახერხეს დაეტაციებინათ 6107 მანეთისა და 40 კაპიკის ღირებულების 351 კუბური მეტრი ბლოკი. ამ დანაკლისის დასაფარავად თ. შაორშაძის ინიციატივით სანჭერის № 44 საგზაო-საექსპლოატაციო უბნიდან ისესხეს 62 ტონა ციმენტი და შეიტანეს მისი გადამუშავებით დაეფარათ დანაშაულის კვალი. სახელმწიფო ქონების დატაცებაში ამხილეს ა. რეფეკი ბლოკის საამქროს უფროსი ი. ბაინდურაშვილი, რომელმაც ეს საამქრო ვ. აბუთიძისგან ნაიბარა.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ისიც დადასტურდა, რომ სამეფწველო კომბინატში ჭიანური მდგომარეობაა იყო საბუღალტრო აღრიცხვიანობა, მოლარე ნ. კიღურაძე და ხელფასის ბუღალტერი თ. შუკაკიძე დაუდგენლად და ზარალად ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას, რის შედეგად დამნაშავე პირების შესაძლებლობა მიეცათ ფატაციებინათ სახელმწიფო ქონება.

სახალხო სასამართლომ კომბინატის ყოფილ დირექტორს თ. შაორშაძესა და მთავარ ბუღალტერს შ. ამაშუკელს თვითეულს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მეესაჯა ქონების კონფისკაციით, ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მეესაჯა ბლოკის საამქროს ყოფილ უფროსს ი. ბაინდურაშვილს, მასვე სასჯელად მოხდის შემდეგ ორი წლით აეკრძალა მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე მუშაობა. მკაცრად დაისაჯნენ ბერეთელი ნ. კიღურაძე და თ. შუკაკიძე, დამნაშავეებს დაეკისრათ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

დ. გედენიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

□

ᲥᲕᲐᲠᲘᲙᲘ ᲛᲝᲜᲓᲚᲐ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡᲐ?

კვალი ვერ დაფარა

ქობები გიორგი და მიხეილ ოზმანოვები, ოჯახის წევრებთან ერთად ბორჯომიდან თბილისში ბრუნდებოდნენ. ავტომობილს საქეს გიორგი ოზმანოვი მართავდა. ტაშისკართან ავტომანქანას საბურავი დაეშვა. გიორგი და მიხეილი ავტომობილიდან გადმოვდნენ. ის იყო საბურავის შეცვლას აპირებდნენ, რომ დიდი სიჩქარეთი მომავალი ავტომანქანა ძმებს დაეჯახა და თვალის დახამხამებაში მიიმალა.

ყოველივე ეს ისე უეცრად მოხდა, რომ ნათესავთაგან ვერავინ მოახერხა ავტომობილის არა თვნომრის, არამედ მარკის გარჩევაც. დაჯახება საბედისწერო აღმოჩნდა, მიხეილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი ძმეს დაშავდა.

რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდა ავტოინსპექციის ხაშურის მოტომექანიზებული საგზაო ზედამხედველობის ქვედანაყოფის ხაშურის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, საეჭვო იყო თავზხელაღებული, მკვლელ მძღოლის პოვნა, რომლის ასაკიც დასავალი არ იცოდნენ. ერთადერთი ამედი მიმალული ავტომობილის მაშუქების შუშის ნამსხვრევები იყო, რომელზეც მკრთალად ეტყობოდა მარკირების. ავტომობილის სახელმწიფო ნომრის რამდენიმე ციფრის მოხაზულობა.

სასწრაფოდ შედგენილი ოპერატიული ჯგუფის წევრების მთელღამის მუშაობა წარმატებით დამთავრდა. მეორე დღეს მილიციის მუშაკები თავს წაადგნენ თავის სავე გარაჟში მოფუსფუსე ქვეხეთელ გიორგი ლომძიძეს, რომელიც დაზიანებულ „ეიგულს“ აკეთებდა. „ეიგული“, რომლის სახელმწიფო ნომერია 04-48 ეკუთვნის გივი გელაშვილს ფინდობილობით მართავდა გიორგი ლომძიე.

იმის მაგივრად, რომ გიორგი ლომძიე შინაგან საქმეთა განყოფილებაში გამოცხადებულიყო და მის მიერ ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა, დანაშაულს დანაშაული დაუმატა, ავტომობილზე ავარიის კვალის წარხოცვას ლამობდა, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა...

ა. ბუხრაუშვილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲞᲘ

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ლენინგრადელი, მოსკოველი და ქართველი სპეციალისტები ამონტაჟებენ ახალ დიდ სარკიან ტელესკოპს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ასტრონომთა დავალება. ლენინგრადის ოპტიკური ხელსაწყოების ქარხანაში შექმნილი სამყაროს მკვლევართა უნიკალური ოპტიკური თვალი, თავისი თანამოძმეებისაგან განსხვავებით, სავსებით ავტომატიზებულია, აქვს პროგრამა და მას ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა მართავს.

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ გ. სალუქვაძემ საინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ტელესკოპი, რომლის სარკის დიამეტრი 125 სანტიმეტრია, აწარმოებს ციური სხეულების სინათლის ნაკადების ფოტოელექტრულ გაზომვებს. იგი განსაზღვრავს შორეული ვარსკვლავების ნათების ინტენსივობას, მათს სიკაშკაშეს და ფერს, რომელთა საშუალებით ირკვევენ ციური

№80008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03 09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობისა — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЭ 02890

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14